[კანტორ]ა და რედაქცია
[ტფ]ილისი, სასახლის ქ.,
[თავ].-აზნაურთ ქარვასლა
[ხელ]ის-მომწერნი გაზეთის დახაკვე... [illegible] რედაქციის დილის [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

## სახალხო სეირნობა
## საქველ-მოქმედო გაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" სასარგებლოდ

დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში. (10—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
გამოცემა იოსებ იმედაშვილისა № 2.

## მოწაფის ჰიგიენა

თარგმანი ი. გ—რისა.

30 გვ. სუფთად დაბეჭდილი, ფასი სამი კაპეიკი

[მ]სურველთ ფასდადებით გეგზავნებათ, მასწავლებლებს დაეთმო[ბათ]: 25 ცალი 65 კაპ., 50 ც. 1 მ. და 20 კაპ., 100 2 მ. და 25 კ. ფულის მაგიერ, ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

[ე]ს წიგნაკი შედგენილია ჰოლანდიის საერო განათლების სამი[ნის]ტროს განკარგულებით სამედიცინო საბჭოს მიერ, და მისგანვე გა[მო]ცხადებულია, როგორათაც სავალდებულო სახელმძღვანელო სკო[ლე]ბში სახმარებლად. რუსულ ენაზე სამინისტროს მიერ მოწონებუ[ლი]ა მოწაფეთა შორის გასავრცელებლად.

ჩვენი ადრესი: Тифлисъ, Книжная торговля И. З. Имеда[шв]или (ალექსანდრეს ბაღთან). (3—1)

!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

იმემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიოზით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშნობისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, ნოვოჩერკასკში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, პიატიგორსკში და ტფილისში.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—18)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

*Лѣчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. გუბერნიის მარშალს 5-5 გუბერნატორისათვის თხოვნით მიუმართნია, მაისის 5 ნება დაგვრთეთ, რომ საგანგებო კრება მოვიწვიოთ სხვა საბჭოს საგნების განსახილველადო.

*** მისაღები გამოცდა პირველ გიმნაზიაში დაიწყება მაისის 18-დან 22-მდე დილის 9 საათიდან ყოველ დღე. ვაკანსიები მოსამზადებელ და პირველ კლასებშია. თხოვნებს ღებულობენ ყოველ დილის 10—12 საათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

*** მისაღები გამოცდა ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყება 7 მაისს და გაგრძელდება 8 მაისამდე. ეგ გამოცდა მხოლოდ მოსამზადებელ კლასებისათვის არის დანიშნული

*** ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს მოგზაურობა. როგორც გაზ. „ნ. ობ." იუწყებენ, ყოვლად სამღვდელო საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე ქუთაისიდან წაბრძანებულა გელათის მონასტერში. იქიდან დღეს გაემგზავრება ფოთს.

*** უსასყიდლო წამლობა. ტფილისის ქალაქის საბჭოს ფრიად კეთილი აზრი მოსვლია, დამდეგის წლიდან საქალაქო სამკურნალოში ყველასათვის შემოიღოს უსასყიდლო წამლობა.

*** სესხის კასა ბათუმში. ბათუმის საბჭოს დაუდგენია ივნისის თვიდან დაარსოს ბათუმში საქალაქო სესხის კასა, რომელშიაც მიიღებენ გირაოდ სხვა და სხვა ნივთებს.

*** ქართლი. ცრუ-მორწმუნეობა, მკითხაობა და ამათი მოსპობის საშუალება. თითქოს ვხედავთ ქართლში, რომ ქალაქებისა და დაბების გარდა სოფლებშიაც დაარსებულია სკოლები, და რად არის მაინც გახშირებული მკითხაობა და ჯადოსნობა. ბ. კორესპონდენტი, ნოე ჯიქთომელი, „ცნ. ფურ." № 791-ში ჰბეჭდავს წერილს იმერეთიდან და აი რას ამბობს: „კაცმა რომ თავი გამოიყვანოს ასეთ უმეცარ მდგომარეობიდან, რა არის ამის წამალი? სწავლა-მეცნიერების ნათლით განათება ხალხის ბნელის გონებისა. რას შეუძლიან და ვის შეუძლიან ბნელი გონების განათება? სოფელში სკოლების, სამკითხველო-წიგნთ-საცავების უმრავლესობას—მღვდლებისა და მასწავლებლის შორის, ქადაგს და ჩაგონებას?.." ეს კარგი, მართალია სწავლა-განათლებაზედაც არის დამოკიდებული, მაგრამ ზოგიერთნი განათლებულნი რად მისდევენ ამ ცრუმორწმუნეობას, რომელსაც მოვიყვანთ ქვეით! უნდა აიხსნას ეს სიმუხთლისაგან, რადგანაც ამგვარ მორწმუნე მშიშარას ძარღვებში დაჰკრავს შიშის ზარი და გულს აუტოკებს ხოლმე სიცრუე. საიდან, თითქოს შედიან სწავლა-განათლებაში და იგებენ ამ უმეცარ ცრუმორწმუნეობას? აი საიდან: სოფელში ჯერ თითონ მე პატარა ვიყავი, რომ საღამ საღამობით გარეთ გამოვიდოდი, გავირბენდი პატარა მანძილს და დავინახავდი ქალების და აგრეთვე კაცების გროვას. ყურს დავუგდებდი, სულ ეშ-

მაკებზე და მკითხავებზე ლაპარაკობდნენ, რადგანაც მეტი საქმე არა ჰქონდათ, და სულ იმათზე მესმოდა: აი ეშმაკი იმათ სახლში იცისო, აი იმათ საბძლების ბოლოს ბუდობენო, აი იქ გამომეცხადაო და სხვ. მეც გულში შიში უფრო და უფრო მებადებოდა და თვალებს ვაფეთებდი, აი ეხლა ეშმაკი გამომეცხადება და აი ეხლა-მეთქი. მართალია დედმამას ვუამბობდი ხოლმე „აი დედა ამან ესენი თქვა ამან ესენი მეთქი“, მაგრამ ისინი მიჯავრდებოდნენ ყურს ნუ უგდებ ტყუილიაო; მაინც მე ჩემსას არ ვიშლიდი და ყოველ საღამოობით იმათ ყურს ვუგდებდი. მეც გულში ვფიქრობდი, რომ დავიძინებდი, ხშირათ სიზმარში ეშმაკებსა ვხედავდი. მართალია, შემდეგ დედმამამ მიმცა სასწავლებელში, მაგრამ პატარაობიდან დაშინებული გულის მოშლა ძნელადღა შეიძლება. ამგვარი საქციელი ქალაქებში, დაბებში და სოფლებშია მოდებული .. შვილი რომ კარგი გამოუვიდეს და ცრუმორწმუნეობას არ მისდევდეს, დედმამა არ უნდა ელაპარაკოს ეშმაკებზე და მკითხავებზე, რადგანაც ზოგიერთ ბავშვს ქორფა გულში შიში უცვლელად რჩება დიდობამდისინა... მთელ ქართლში მოდებულია ცრუმორწმუნეობა, მაგ: ჰიაკოკონობა ოთხშაბათობით და სხვა. ეს ჩვეულება ქალაქებშიაც კი იციან ხოლმე. ბავშვები და აგრეთვე მოზარდებიც ჰიაკოკონაზედ ხტებიან და იძახიან „ალული კუდიანებსაო“. ასკილებს სახლების და სახნავ-სათეს მიწებში არჭობენ, და ჰგონიათ, რომ ეშმაკები არ გაივლიან ჩვენ მიწებში და არ წაგვიხდენენ ჰირნახულსაო. ჰიაკოკონაზედ ხტუნაობით კი ეშმაკებსა სჯობნიან და ფეხებში ივლებენ... რამდენნაირი ცრუმორწმუნოებაა გავრცელებული ქართლშიც, მკითხაობა, ჯადოსნობა და სხვა... გლეხ კაცს გაუხდება თუ არა ოჯახში ავად ვინმე, მაშინვე მიზეზს დააბრალებენ და მარჩიელისკენ (მკითხავი) გაემგზავრებიან, ისიც გამოცდილი ცბიერებაში უგუნურ კაცს ატყუებს, ერთ აბაზს, ერთ პურს და ერთ ჰიქა ღვინოს ართმევს სამკითხაოში. იმასაც მართალი ჰგონია იმის სიტყვები და ავადმყოფს რა წამალსაც თითონ მარჩელი მისცემს და როგორც უნდა ეტყვის და ალევინებს, ის მადლობას უხდის და ჰპირდება „კიდევ ფულს მოგცემ — თუ ავადმყოფი მორჩებაო“. კარგი თუ ღმერთმა მოხედა და ავადმყოფი მოარჩინა როგორმე ამ წამალმა, გახარებული მიდის ხელხლად და დაპირებულ ფულს აძლევს. ასე სტყუვდებიან ცრუმორწმუნოების მიმდევარნი.. — როგორც ზევით მოგახსენევით, ამგვარი საქციელისაგან გამოიხსნის დედ-მამას თავდაპირველად და — შემდეგ მასთან სწავლა-განათლება, როგორც სწერს ბ. კორესპოდენტი, ნოე ჯიქთომელი...

კ. ფრონისპირელი.

*** **ს. წვერა** (ქართლი) ქურდობა. ამ სოფელში ქურდობა უფრო და უფრო ცხოვლდება იმით, რომ აქაური მამასახლისის თანაშემწე ყურებს არ იბერტყავს და ქურდობას არ სდევნის. ამას წინად, ერთ ქვრივს დედაკაცს მოჰპარეს ორი ძროხა. ქურდების ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. მამასახლისს გამოუცხადეს და პატარა შრომას ისა სწევს და დაეძებს ქურდებს. როგორც იძახიან ქურდები ოსები არიანო, იმათ მოიპარესო. მეც ვიცი, რომ ქურდები არიან, მაგრამ იქნება ოსებმა არ მოიპარეს? ქართველებიც არ დაინდობენ უპატრონო სახლსა, შევლენ და გაჰქურდამენ, აგრეთვე ეხლა, საწყალ ქვრივ-ოხერს იმაზე მეტირა ებადა, რომ ისიც მოჰპარეს, ან ვინა ჰყავდა ყურის-მგდებელი. კარგი იქნება, რომ ბოქაულმა ყურადღება მიაქციოს და ქურდები შეიპყროს, თორემ როგორც წინად მოგახსენეთ ქურდობა ცხოვლდება ამ სოფელში...

*** **დ. ოჩამჩირე.** (აფხაზეთი) თავდადებული მოსამსახურე. დიდის მადლობის ღირსია ანდრე ჩეჩელევი ადრე კოდორის ნაწილის უფროსად ნამყოფი, რომელიც ოჩამჩირის ეკლესიის მედავითნეს უსასყიდლოდ ეხმარება სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ. აგრეთვე მან შესწირა ხსენებულ ეკლესიას რამოდენიმე ძველი საეკლესიო ნივთები ბერებისგან გამოგზავნილი. თავის მშვენიერ ბოხის ხმითაც გვიტკბობს ყურთა სმენას ეკლესიაში... ვუსურვებთ მას დიდხნის სიცოცხლეს ოჩამჩირეში მისდა სასახელოდ და ოჩამჩირელების სასარგებლოდ! საკვირველნი არიან საქმენი შენნი ადამის ძეო!..

— ოჩამჩირის სკოლის მდგომარეობა. ყოფილმა სკოლის ზედამხედველმა აწ სამსახურიდან გამორიცხულმა ბორის ხ—ვამ ძალიან ცუდს მდგომარეობაში გადასცა თავის თანამოადგილეებს ხსენებული სკოლა. სწავლის საქმე ცუდათ მიდიოდა, რადგან საზოგადოებასა და ხ—ვას შორის ყოველ დროს ბრძოლა იყო გამართული. თვით შენობა თუმც ახლად შეკეთებულ იყო, მაგრამ სახურავი მალე გაუფუჭდა. საბალე ადგილი შემოსაკავებელ იყო, რადგან დამპალი მესრები ძლივს იმაგრებდნენ თავს წაქცევისაგან. არა მცირე მეცადინეობის შემდეგ მოუხდათ სწავლის თავის დონეზე დაყენება ა. შჩეპანსკის და კ. მარშანიას, საბალე ადგილსაც შემოაკავებენ, რასაც დახმარებას უჩენს სკოლის მზრუნველი. სკოლა ეხლა უკეთეს მდგომარეობაშია.

— ერთი ნაკლიც ჩვენს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა. თავის დროზე კორესპონდენციის მიღება ჩვენს კანტორაში გასაჭირია, რადგან ერთად ერთი მეფოჩტე ვერ სწვდება დიდძალ ქაღალდების რიგებას. ფოჩტას აქ კვირეში სამ ჯერ ვღებულობთ. სანამ მეფოჩტე კისრამდი ქაღალდებში ჩაფლული არჩევდეს კორესპონდენციებს, შემყურეთ მიეძინებათ სკამზე. მხოლოდ ხანდის-ხან გაისმის მეფოჩტეს ხმა — ამა-და-ამ კაცს აქ ხომ არ სძინავსო ეს კი არაფერი „თავის დროზე მიღებაა“.

— ჭარნახული. აქეთკენ ჯერ სიმინდის თესვა არ დაუწყიათ, რადგან გვალვა უშლის მუშებს ხელს.

— აბრეშუმის ჭიის მოვლას აქაც მიჰყვეს ხელი, წრეულს ბევრს ჰყავს, მაგრამ სავალალო ის არის, ფურცელი ნაკლებათ იშოვება. სიმინდი ფუთი 40 კ. იყიდება.

ალია

*** **ს. შალაური** (კახეთი). აქაურა ავი-და-კარგი. სოფელი შალაურე მდებარეობს ორი ვერსის სიშორეზე თელავიდამ. ეს სოფელი ეკონომიურის მხრით დაბლა სდგას სხვა სოფლებზე. ამათ არა აქვთ ზვრები ორიოდ სამიოდეს გარდა, თუ აქვთ პატარ-პატარა ვენახები ისე, რომ მარტო თავიანთ სასმელად ჰყოფნით. სახნავი-კი უფრო მომეტებული აქვთ ვენახებზე, ამისათვის აქაურს გლეხ-კაცს იშვიათად შემოაკლდება პური და ხანდახან კიდეცა ჰყიდის. ამ სოფელში ორასამდე კომლი სცხოვრობს გლეხ-კაცობა და რამდენიმე აზნაური. ამ სოფელში შედარებით სხვაზე საწყალი ხალხი სცხოვრობს, მაგრამ ამ სისაწყლეს არ ატყობინებს ქ. თელავის სიახლოვე. ისინი სარგებლობენ თელავის სიახლოვით და ჰყიდიან თავიანთ ნაწარმოებს და სხვა-და-სხვა ხილსაც; გაზაფხულიდამ დაწყობილი ზამთრამდის თელავის იარმუკა დილ-დილით სავსეა ხოლმე იქაური დედაკაცებით. ხოლო ზამთარში — კაცებით, რომლებიც ჰყიდიან შეშას, ჭიგოს, ფიჩხს და სხ. ამოდენა მცხოვრებთ ერთი რიგიანი წყალი არა აქვთ დასალევად. სოფლის რიყეში ერთი პატარა წყალი ჩამოდის, რომელსაც „ხევის წყალს“ ეძახიან. ხანდახან ეს ხსენებული წყალი აგრე აიმღვრევა ხოლმე, ნამეტნავად ზაფხულში,

რომ იმისი დალევა შეუძლებელ
ზამთარში კიდევ დაწყდება
რომ ამ დროს ისინი თელავ
ჰსარგებლობენ მართალია როგო
აქაური ამბობენ ბევრგან არის
თავე კარგის წყლისა, მაგრამ ს
ლელთ ვერ უთავნიათ წყლის
მოყვანა და გაკეთება შეუძ
ლობლობის და უთაურობის გ
ამ სოფელში არის ეკლესია
ნებული საკვირველ მოქმედის
გიორგის სახელობაზედ. ეს
ლესია დღესასწაულობს 23-აპრ
ამ დღეს აქ ბლომათ იყვნენ ხ
ხი, თელავიდამაც ბლომათ იყვ
აქავე იყვნენ ყველგან ცნობი
ჩარჩები, მოეტანათ თელავ
გაფუჭებული ხილეულობა და ს
ლელებზე ასაღებდნენ. ნახევა
მეტი მცხოვრები ასე ასი კო
უფრო დღესასწაულობს, რომ
ნიც ეკლესიის ახლო დგანან.
ნი ჰმართავენ სადილებს, ეპატ
ბიან ხალხს, რითაც თითო კო
სულ რომ ცოტა ვსთქვათ, 3 მ
თი მაინც მოუვა ხარჯი ამ დ
ეს ჩვეულობა რომ გადაავდონ
აღარ მართონ სადილები, მაში
სოფელს ამ დღეს 300 მან.
დარჩება. ეს ფული რომ ყო
წელიწადს სოფლის სასარგებლ
გადაიდოს, ორ სამ წელიწადს
დენი ფული შეგროვდება, რომ
ლიც გამოიყვანონ და გააკე
და სკოლისთვისაც დარჩეს.
ეს სოფელი უსკოლოდ არ
ამათში იშვიათი არის ვინმე წ
კითხვის მცოდნე. ამათი შვილ
ან ძროხაში არიან და ან მ
მაგირედ. ამ სოფელში ერთი
არ გამოვა, რომ შვილი სწავლ
ჰყავდეს სხვაგან სადმე. საჭ
ამათთვის სამრევლო სკოლა,
მეძრისში წერა-კითხვა მაინც შ
ლოთ.

თელავ

# სახალხო ჰიგიენ

საუბარი ჯანმრთელობის შესახ
(რუსულიდან)

სხეულის სისუფთავეზე

I საზოგადო შენიშვნები.
ჰაერი, რომლითაც კაცი ის
ქავს სუფთა უნდა იყოს, რა
უნდა აგრეთვე სულყველაფერ
საც კი კაცი შეეხება უნდა
სუფთა. სისუფთავეში უნდა
ლისხმოთ: სადგომის სისუფ
ტანისამოსისა და ფეხსაცმელ
აგრეთვე თვით კაცის ტანისა
სუფთავე არა თხოულობს მ
კუთრებით ბევრ ხარჯს. ვე
ვერ გაიმართლებს თავს იმითი
სიღარიბის გამო სუფთათ ვე
ნახავ თავსო; წყალი ბევრი გვ
რომელიც პირველი საშუა
სისუფთავისა, შეიძლება რომ
ცხოვრებდეს სამშობლოის ტან

...რამ მისთვის არაფერი არა ღირს ...მობის შემდეგ ტალახიანი ხე...ბი გაიბანოს წყლით. უსუფთაო...ცუდი ჩვეულებაა და ზედ მე...მავნებელიცაა.

...მტვერი. თვით სუფთა ჰაერში ...ოთ ურევია მტვერი, მტვერი ...ს სამნაირი: 1) მსხვილი, რო...საც ვხედავთ ყველგან. 2) წვრი... რომელსაც ვხედავთ მხოლოთ ...ს შუქზედ. 3) სულ წვრილი, ...მელიც არც მზის სხივებზედ ...ოჩნდება, ეს მტვერი შეგვიძ...ან გავარჩიოთ მხოლოთ განმა...დებელი შუშის შემწეობით. აი ...ირეთ ეს უწვრილესი მტვერი ...ს საშინელათ მავნებელი, იმი...მ რომ ის მტვერი შეიცავს ...ურ გადამდებ სენის ნაწილებს. ...ვილი და წვრილი მტვერიც ძა...ან მავნებელია˙ იმიტომ რომ ...სდგება ნივთიერებისგან, რომე...ც მალე იხრწნება. თუ მტვერი ...ე არ გადაიგავა დადგება გრო... უხილავი მტვერისა ე. ი. სენი... რომელიც მტვერში, არამც... ინახება კიდეც მრავლდება. ...თხავთ: რატომ სუყველანი ერთ...რათ არ იტანჯებიან გადამდე... სენით, როდესაც იმ მტვერს ...უნთქავენ და მისგან სრულიად ...ვარვა შეუძლებელია? ამისი პა...ხი სულ ადვილია: შხამიც კი ... მოქმედობს სულყველაზე ერთ...რათ. სუყველანი ერთნაირად ... ავადმყოფობენ; ზოგს სუსტი ...ბულება აქვს და ზოგს კარგი. ...რამ ხანდახან მაგარი აგებუ...ობაც კი ღალატობს ხოლმე ...ს, დღეს კაცი ჯანმრთელია, ...არა ხნის შემდეგ ღირს მხო...ოთ ერთბაშათ გაცივდეს და მის ...ში ავადმყოფობა ფეხს იკიდებს. ...თი სიტყვით ჩვენ ჯანმრთელნი ...ომდე ვართ. გარდა ამისა არის ...ა ქვეყანაზედ კაცი რომლისა...ნაც თავის დღეში არ გაუცი...ია? აი ამისათვის არის საჭირო, ...მ ყველა მავნებელი ჯანმრთე...ობისათვის ნივთიერებანი თავიდ...ნ ივიცილოთ: სულ უბრალო ...ვის ტკივილი ან სხვა რამ შეი...ება გადაიქცეს საშინელ განუ...რნავ სენათ უსუფთაო გარემოე...ს გამო, რაც სუსტი აგებულო...ს არის კაცი მით უფრო მალე ...ება ყველა სენი. ამიტომ აუცი...ებელი საჭიროებაა ვიქონიოთ ...უფთავე განსაკუთრებით იქ, სა...ც არიან სუსტი სხეულის ყმა...ვილები, მშობიარენი და ავად...ოფები.

შ. კ—ძე.

(შემდეგი იქნება)

# თეატრის მატიანე

—

**კავკავი** ქართული საქველ-მოქ...დ წარმოდგენა. ...კვირას, 25 აპ... რიდს სამოქალაქო თეატრის დარბაზში აქაურ ქართული სკოლის სასარგებლოდ ბ-ნ ა. პ. სარაჯიშვილის თაოსნობით ქართული სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა წარმოდგენა თბილისიდგან მოწვეულ დიდად პატივცემულ და ნიჭიერ მოთამაშის ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით, რომელმაც ამ საღამოს თავის თავზე დიდი შრომა და დვაწლი მიიღო ზემოხსენებულ ქართული სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა ორი პიესა: I „ხანუმა“ სამ მოქმედებიანი კომედია ცაგარლისა და II „ჯერ დაიხოცნენ, მერმე დაქორწინდნენ“ გადმოკეთებული კდმ. ერისთავის მიერ. ორივე პიესამ ძლიერ მხიარულად ჩაიარა. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა, მოთამაშეთ ცხადად ეტყობოდათ, რომ იგინი გულით და სულით შესდგომოდნენ საქმის კარგად დაბოლოვებას, გრძნობით და ტაქტიანობით უკედანი როლების შესაფერისნი იყვნენ განსაკუთრებით მშვენიერი იყო „ხანუმას“ როლში ქ-ნი ნ. მ. გაბუნია—ცაგარელი, რომელმაც შესაფერ მიხრა-მოხრით და კომიკურ ლაპარაკით საზოგადოება ბევრი აცინა. თამაშობის დროს დამსწრეთ მიერ „გაშას“ ძახილით და სცენაზე ყვავილების ყრით იგი სცენაზე რამდენჯერმე იქმნა გამოწვეული. აგრეთვე კარგად დაგვისურათ-ხატა „აკოფ დარდიმანდიანი“ ბ-ნმა ა. პ.

სარაჯიშვილმა, რომლის სცენაზე გამოსვლა დამსწრეთ შორის უეჭველად სიცილს ასტეხავდა ხოლმე. არა ნაკლებ მოხდენილად ჩაატარა „ოკლეს“ როლი კნეინა ე. ი ხიმშიევასამ, რომელმაც გოდევილში კიდოს გამოცვლით და. ჩაცმა დახურვით სრულებით გაანსხვავა პირველი პიესის როლი. დ. ბოცვაძემ „ტიმოთეს“ როლში ნათლად დაგვისურათა გლეხების ის მდგომარეობა, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ საქართველოშა თავადების ბატონობის დროს. კარგი იყო „ქაბატუას“ როლში ა. ი. ხახიშვილისა, სხვა მოთამაშეებმაც სამაგალითოდ იჩინეს თავი საღამოს. წარმოდგენამ, მეტის-მეტ მხიარულად ჩაიარა. უკრავდა სამხედრო მუზიკა და ზურნა. ქ-ნ ნ. მ. გაბუნია ცაგარელს საზოგადოებამ მიართო შესაფერისი საჩუქარი, ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა მომქმედნი პირნი, რომელთაც დიდი მხნეობით დააგვირგვინეს ღრმად პატივცემულის სარაჯიშვილის ინიციატივა —ქართული სკოლის სასარგებლოთ საქველ მოქმედო აზრი. წარმოდგენამ მოაგროვა შესანიშნავი განსაკუთრებით დაბალ ხალხზე იქონია, რომელთაც ძლივ დაინახეს, რომ წარმოდგენა მარტო ვისამე სალხენ-საცინელი წყარო კი არ არის, არამედ დიდი სარგებლობის მომტანი, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში. კიდევაც კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს აქ, რომელშიაც ჩვენ დიდ სარგებლობასა ვხედავთ არა მარტო სკოლის, არამედ საზოგადოების მხრითაც. შემოსავალი ოცდახუთ თუმნამდეა˙

პავლე მოსულიშვილი

—

**ცხინვალი.** ქართული წარმოდგენა. ხუთშაბათს, 22 აპრილს, აქაურ ქალების სკოლის დარბაზში გამართული იყო ჩვენის პატივცემულის მ. რ. სულხანიშვილის მეუღლის თაოსნობით ქართული წარმოდგენა. მიზანი ამ წარმოდგენისა იყო ს. ტირძნისის სკოლის სამკითხველოს დაარსება. პატივცემული მოთავე წარმოდგენისა ყოველნაირად ეცადა წარმოდგენას კარგათ ჩაევლო და საზოგადოება ესიამოვნებინა. მშვენიერი პიესები იყო შერჩეული: „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ და „ბაიყუში“—ორივე ავქ. ცაგარლისა. მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ცნობილმა არტისტმა ზალიკო მაჩაბელმა, ს. ლომაურისამ, ეფ. მატბერიშვილისამ, თ. გვარამაძისამ, ქ. იორდანოვისამ, ვლ. ლაშხაურმა, ნ. თვალიაშვილმა და სხ.

მთელმა ოთხმა მოქმედებამ წარმოდგენისამ ისე ჩაიარა, რომ ტაშის კვრა და ვაშას ძახილი არ შეწყვეტილა. მოთამაშენი საგანგებოდ იყვნენ მომზადებულნი, ამის შემდეგ მათ ხელს უწყობდა ფართო სცენა, კარგის ხალიჩებით, მორთულობით დარბაზიდა სცენა მშვენივრად იყო განათებული, რაც იშვიათია და საძნელოა პროვინციაში. დასასრულ წარმოდგენისა გაიმართა ქართული თამაშობა იმ ვეებერთელა დარბაზში საზანდრით, რომელმაც მთელი საზოგადოება დაატკბო. ლეკურის შემდეგ ერთ-ბაშათ შესდგა ხორო რომელიც გაიმართა სცენაზედ და დაიწყო ქართული სხვა და სხვა კილოზედ სიმღერები. ეს სიმღერები რამდენჯერმე საზოგადოების თხოვნით განმეორებულ იქმნენ. საზოგადოება სამწუხაროდ, ბევრი ვერ დაესწრო, რაც მიეწერება იმას, რომ იმ დღეს ხანგრძლივი და განუწყვეტელი წვიმა მოდიოდა. მაინცა და მაინც სრული შემოსავალი იყო 72 მან 40 კ. ხარჯი იყო საზანდრის და სკოლის დარბაზის ქირით 39 მან. და 70 კ., სუფთა შემოსავალი 32 მან. 70 და კაპ., რომელიც გარდაეცა ტირძნისის სკოლის უფროსს მასწავლებელს ვლ. ივ. ლაშხაურს. ფული ახალებია ამ წარმოდგენისა კიდევ 25 მანეთამდის. იმედია ამ ცოტაოდენ შეწირულობით დაარსდება ტირძნისის სკოლისათვის შესაფერი ბავშვებისათვის სამკითხველო.

დამსწრე

## ყურმოკრული საუბარი

—

თქვენო ბრწყინვალებავ,—კრძალვით ეუბნება ერთი დაბალი მოხელე თავის უფროსს, მე ქაღალდი მივიღე ჩემს გადაყენებაზე სამსახურიდან და იქვე სწერია, რომ ვითომც მე მეთხოვოს არზით, სამსახურის თავის დანებება, მე კი ასეთი არზა არ შემიტანია.

— არ შეგიტანიათ?.. მაშ სჯობია შემოიტანოთ.

## ბრძნული თქმულება

—

✦ დედა ყოველთვის და ყოველ გარემოებაში დედაა, თუ დედა მოსიყვარულე და გონიერია, მაშინ შვილებიც კარგ კაცებად გამოვლენ, ხოლო თუ დედა გასათლებული და ხასწავლიც არის, ხოლო გულსა და გუნებასთან-კი მწირალათ არის, მაშინ შვილებიც ურიგონი გამოეზრდებიან.

✦ გული ცოდნაზე უფრო ძლიერია.

✦ იყავით მხიარულნი, რადგან რწმენა ბედნიერებას გვაძლევს.

✦ რაც უფრო ბევრი ცოდნა გექნებათ, მით უფრო დარწმუნდებით თქვენ უცოდინარობაში.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდამ (1629 წლიდგან)*).

ტფილისის სტამბები და წიგნების ბეჭდვა XIX საუკუნეში.

52 ზატიკი, მღ. მონაზონის ივანე ბუხიკიშვილისა 1802 წ.

54 ლოცვანი, მეოთხე გამოცემა ექ. ხელაძისა 1878 წ.

55 მოკლე განმარტება ლიტურღიისა, ნათარგმ. რუს. მღ. გრ. მანევეტოვისა. 1852 წ.

56 საქრისტიანო მოძღვრება ნიკოლოზ ტფილელისა 1885 წ.

57, ცხოვრება და ხასიათი ძუნწი მხეცებისა, სკაპცებისა და ურიებისა, ქუთ.

58 კანონები მღვდელთათვის საცოდნელად საჭირონი მ. ასათიანისა, 1878 წ.

64 ინსტიკტი, ალდო დარვინის თეორიით.

65 სამართლის წიგნი, 3 გამრეკელისა, ტფილისი.

66 მოკლე დარიგება.

67 როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა, გ. თუმანიშვილისა 1880 წ.

68 კანონები რუსეთის საბატონო გლეხთა განთავისუფლებაზე, თარგ. რუსულით, 1862 წ.

69 დრო არის საქმეს შეუდგეთ ქ. მამაცაშვ-ლისა 1881 წ.

70 ერობა, მისი მნიშვნელობა და წესდება, 1888 წ. ნ. ნიკოლაძისა.

71, თვით განვითარება, სმაილ...

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 806.

სისა, თარგ. რუსულით ი. როსტომაშვილისა. 1887 წ.

72 ჩვენებური საქმის ბოლო, ანტ. ფურცელაძისა, 1873 წ.

73, მამულის საერთო მფლობელობა მისივე 1881 წ.

74 საქართველო დავარდნილია, დ. ქართველიშვილისა 1875 წ.

75 წიგნი სიბრძნისა და კეთილ მოქმედებისა ანუ მდგომარეობა კაცობრივის ცხოვრებისა, 1878 წ.

75, ჩვენი დევგმირები, სტ. ჰრელაშვილისა, 1879 წ.

76, თვით მოქმედება, სმაილსისა, თარგ. ივანე როსტომაშვილისა, 1885 წ.

77, ხელოსნებო, სანდალო, 1886 წ.

78, აღწერა კვიმატთა, რომელ არს სავტლო და სამთავროთა.

79, ართმეტიკული ვარჯიშობა, 1880 წ.

80, დასაბამითნი საფუძველნი მცნობელობითის ფიზიკისა პ. გილაროვისა.

81 როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი, არჩილ დარეჯანაშვილისა, 1882 წ.

82, მიკროსკოპიული ორგანიზმი, სტატკოვსკისა, 1883 წ.

83, გამოცდილებითნი კანონნი მოყვანისათვის, ლილისა, ქუნჯუთისა და გენაგეშქისა, თარგ. რუსულით პ. ი. 1842 წ.

85, ყმაწვილებს ყვავილი აუცრევინეთ, 1875 წ.

86, ანატომია კაცისა, ალ. ცხვედაძისა, 1883 წ.

87, არიფმეტიკული კრებული, რაჟდენ ჯაჯანაშვილისა, 1886 წ.

88 ექიმობა და დარიგება ქალის ავათმყოფობაზე ორსულობის დროს ალ. ცხვეტაძესა 1887 წ.

89 ვაზის ობი, მილდიუ, 1888 წ.

90 ბუნების მოვლენანი, მესტიაშვილისა 1888 წ.

91 საუკეთესო ცოდნა ცხოვრებაში თარგ. გამოც. 1870 წ.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

28 აპრილი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: აღიკრძალოს ცალკე ნომრობით გასყიდვა გაზეთ „რუსკი ლისტოკისა“.

დღეს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „როსიისა“. საზანოვის რედაქტორობით.

**სოფია.** ბოლგარიის წარმომადგენლებად შეიარაღების შემცირების შესახებ, დანიშნულს კონფერენციაზედ იქმნებიან: ბოლგარიის აგენტი პეტერბურგში სტანჩევი და სამხედრო აგენტი ბოლგარიის სააგენტოსთან ბელგრადში კერაპჩევი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ლამბერი შეეკითხა მთავრობას, ინგლისისა და რუსეთის მიერ ურთიერთ-შორის დადებულს ნოტაში განსაზღვრული არის თუ არა მდინარე იან-ცზე-კიანგის ხეობის მიჯნები, და თუ არ არის, აზრათ აქვს თუ არა მთავრობას მოითხოვოს, ,ისეთივე უფლებანი ჰქონდეს იან-ცზე-კიანგის ხეობაში, როგორიც რუსეთს აქვს მინიჭებული „დიდ კედლის“ ჩრდილოეთ მხარეს; აგრეთვე ასე თუ ისე, გაუქმებული ხომ არ არის, ტიანძინის ხელშეკრულობაზე დამყარებული ინგლისის უფლებანი ხსენებულ კედლის ჩრდილოეთ მხარესო. ბროდრიკმა უპასუხა, რომ იან-ცზე-კინგის ხეობა იმის კიდეებზედ არის განსაზღვრული, როგორც ამ მდინარეს საზღვრავს ხონანისა და რეკიანგის პროვინციებით. რაც შეეხება იმას, თუ რა უფლებებს უცხადებს რუსეთი მანჯურიაზედ, დაწვრილებითი ცნობების გადმოცემა ამ საგნის შესახებ არ შემიძლიანო. იან-ცზე-კიანგის ხეობის შესახებ ბრიტანიის მთავრობა თხოულობს, რომ არც ერთი ნაწილი ამ ადგილისა არ დაგირავდეს და არც იჯარით გაიცეს, ანუ რაიმე სხვა წესით გარდაეცეს სხვა სახელმწიფოსო. ხელშეკრულობაზედ დამყარებული ინგლისის უფლებანი დიდის კედლის ჩრდილოეთ მხარეს გაუქმებული არ არისო.

**პეტერბურგი.** 18 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა გვარდია და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარები. მშვენიერი დარი იდგა. საუცხოვო საყურებელი იყო. სამეფო კარავიდგან პარადს უყურებდნენ დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული, პრინცესა ელენე გიორგის ასული საქსენ-ალტენბურგისა და ავგუსტოესნი ყრმანი დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა. პარადის შემდეგ, პრინცის ოლდენბურგსკის სასახლეში გაიმართა უმაღლესი საუზმე. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი დაბრუნდა ცარსკოე სელოში.

**ხარკოვი.** დღეს უნივერსიტეტში დაიწყო ეგზამენები გამოსაცდელ იურიდიულ კომისიაში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსეევის თავმჯდომარეობით. ეგზამენების დაჭერა ითხოვა 85 კაცმა.

**რომი.** პროვინციების რამდენსამე გაზეთში დაბეჭდილია ახალ მინისტრთა სია: პელუ—მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვისკონტი—ვენოსტა—გარეშე საქმეთა მინისტრი, სალანდრა—ხაზინის მინისტრი, ბოზელი—ფინანსებისა, პალბერტი—იუსტიციისა, ლაკარა—საზოგადო მუშაობისა, ბატელ—საერო განათლებისა, ბეტოლო—ზღვათა, მირრი—სამხედრო.

**ვენა.** რუსეთის სამხედრო რწმუნებული პოლკოვნიკი ვორონჟინი წავიდა დღეს დილით პლევლიეში, რათა, რუსეთის იმპერატორის მინდობილობით, გარდასცეს ქვეითა ჯარის პოლკს №-2, რომლის შეფია ხელმწიფე,—მისის უდიდებულესობის სურათი, რომელიც პოლკის პოლკოვნიკის მუნდირით არის და წმ. სტეფანეს ლენტი აქვს.

**პარიზი.** „Echo de Pa[ris]“ გვარწმუნებს, რომ ბალო-ბო[...] წარადგენს თავისს მოხსენება[ს ...] მაისს, კამათი დაიწყება 17 მ[აისს], უფროსი ბრალმდებელი რეკვ[იზი]ტორიას წარმოსთქვამს 18 მ[აისს, დაც]მორნარი დასაცველს სიტ[ყვას] წარმოსთქვამს 19 მაისს, განჩ[ინება] დადგენილ იქმნება 20 მაი[სს]. სხვა გაზეთების სიტყვით, განჩ[ინე]ბა დადგენილ იქმნება 23 მა[ისს].

29 აპრილი

**პარიზი.** პირველი დიდი ო[ფი]ციალური სადილი ფორის [გარ]დაცვალების შემდეგ გამართ[ა] იქმნა ელისეის სასახლეში [რ]ესპუბლიკის პრეზიდენტის[ა] ქ-ნ ლუბეს მიერ. დაესწრნენ [უც]ხო სახელმწიფოთა ელჩები.


# განცხადებანი

ექიმი **ი. ია. გოკიელოვი**

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი], სამშ[...] კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დი[ლით] 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საა[თ].

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნ[ა]ღლისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვ[...] განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—20)

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й. |
|---|---|---|

десять рублей.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

на ежедневную

ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНОУЮ ГАЗЕТУ

„НАРОДЪ“

(третiй годъ изданiя)

Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей въ годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Россiи.

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, общественной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ желѣзнодорожнаго дѣла въ Россiи. вопросамъ Церковнымъ, вопросамъ, военнымъ и вопросамъ, касающимся жизни провинцiи.

Сообщенiямъ изъ провинцiи широко раскрыты страницы газеты, такъ какъ она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинцiя въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщенiе, идущее отъ мѣстныхъ лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйственныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается газетою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Для болѣе яркаго освѣщенiя провинцiальной жизни въ газетѣ существуетъ особый отдѣлъ подъ заглавiемъ „Провинцiальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣнiя, полученныя отъ корреспондентовъ и почерпнутыя изъ провинцiальныхъ газетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинцiальной жизнью и специально для Етой работы приглашенными.

*ПОДПИСНАЯ ПЛАТА.*

| | На 1 годъ. | На 6 мѣс | На 3 мѣс. | На 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россiи,** повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к. | 2 р. 50 к. | 1 р.—к. |
| **За Границею,** въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 36.

МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (старый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Александровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А. Ф. Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.

Гг провинцiальные подписчики благоволятъ обращаться въ Главную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскiй.** (8—3)

| Годъ 3-й. | десять рублей. | Годъ 3-й |
|---|---|---|